№ 19 იანვარი 27, ხამშაბათი 1887 იანვარი 27, ხამშაბათი № 19

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ზ. ხინდეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

ივერია

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

გამოვა 1887 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1887 წლისთვისაც მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9) ბ) ლ. ზ. ხინდეველის გაზეთის სააგენტოს (გოლოვინის პროსპექტი, გიმნაზიის პირ-და-პირ).

ქუთაისში: ვარლამ ჰილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 28 იანვარს,

ბენეფისი ქ. ხაფაროვ-აბაშიძისა

ბანკის (არწრუნისეულ) თეატრში ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

პირველად:

თამარ-ცბიერი

ისტორიული — დრამატიული პოემა 4 მოქმედებად, თ. აკ. წერეთლისა.

მეჯლისი იტალიელებით

ოპერეტტა ერთს მოქმედებად, ოფენბახისა.

მოთამაშენი: ქქ. საფ-აბაშიძისა, ანდრონიკოვისა, თამაროვისა; ბბ. აბაშიძე, ალექსიევ-მესხიევი, აწყურელი, ცაგარელი; და სხვ.

დასაწყისი 7½ საათზე

ტფილისი, 26 იანვარი

ჩვენ რამდენისამე დღის წინად მოვიხსენიეთ, რომ დღეს გერმანიაში ატეხილი მშვიდობიანი ბრძოლა პარლამენტისა ერთის მხრით და გერმანიის განცლერის ბისმარკისა მეორეს მხრით არ მოასწავებს სამხედრო კანონ-პროექტის გამო ბრძოლასა. ჩვენა ვსთქვით, რომ ეგ კანონ-პროექტი მარტო მიზეზად შეიქმნა, თორემ აქ სულ სხვა ტკივილმა გაიღვიძაო. ბისმარკმაც კარგად იცის ესა, რადგანაც პრუსიის სეიმში ეხლახან წარმოსთქვა, რომ პარლამენტისაგან უარ-ყოფა ჩვენის სამხედრო კანონ-პროექტისა დედა-აზრის საქმეა და არა იმ ცალკე შემთხვევისა, რომელმაც თვითონ კანონ-პროექტი გამოიწვიაო. რომ ცოტა რამ თვალნათლად დავინახოთ ამ ბუნდ-მოდებულ საქმეში, მეტი არ იქნება მოკლე ისტორია წარმოვუდგინოთ მკითხველს მისი თუ,—როდინდელი ამბავია ეს ახლად დღეს წარმომდგარი ამბავი და რაში მდგომარეობს იგი დედა-აზრი, რომელსაც ბისმარკმა კანონ-პროექტის უარ-ყოფა დააბრალა. აშკარაა, რომ დღეს გერმანიაში ორი დედა-აზრი დაეჯახა ერთმანეთს და თვითეული მათგანი ჰლამის გამარჯვებასა. ერთის დედა-აზრის მიმდევარია ბისმარკი და მეორისა პარლამენტის მომხრენი. მინამ ეს დედა-აზრნი ეგრე მედგრად გაემკლავებოდნენ ერთმანეთს ცხოვრებაში ადგილის დასაჭერად, ჯერ, რასაკვირველია, მეცნიერებაში იყვნენ დაჯახებულნი და სახელ-გათქმულ მეცნიერთა-შორის დღეს ერთის მომხრენიც მოიპოვებიან და მეორისანიც, ნამეტნავად გერმანიაში. ამ სახით იმ საგანზედ, რომლის გამოც დღეს იბრძვიან გერმანიაში, ორ-გვარი მდინარეობაა აზრისა, ერთი მეორის წინააღმდეგია და ერთსაც და მეორესაც მეცნიერნი მომხრენი ჰყავთ. ამიტომაც მეტის-მეტი უმართებულობა იქმნება, დღევანდელი მოქმედება ბისმარკისა მარტო მის თვით-ნებობას და ჯიუტობას შევწამოთ. შესაძლოა იგი რწმენითაც მოქმედობდეს, რწმენით, რომელიც ჩვენის აზრით შეუწყნარებელია, მაგრამ დამყარებული კია სახელ-გათქმულ მეცნიერთა მოძღვრებაზედ. მართალია, რწმენა ყოველთვის ჭეშმარიტებად მისაღები არ არის, მაგრამ პატივ-საცემი კი ყოველთვის არის.

გამოჩენილს მეცნიერს ლორენცს შტეინს, რომელიც მეორე გამოჩენილ მეცნიერ გნეისტთან ერთად ავტორიტეტად არის ცნობილი გერმანიაში საპოლიტიკო საქმეთა ცოდნასა და ახსნაში და რომელიც—ჩვენში კი ითქვას—ცოტა თვალ-დახუჭული უყურებს ეგრედ წოდებულს „პარლამენტარობას“, მოჰყავს ორ-გვარი მაგალითი პარლამენტარობისა: ერთი, საცა აღმასრულებელი ძალი სახელმწიფოსი ესე იგი სამინისტრო, სრულიად ემორჩილება რჯულთ-მდებელს პარლამენტსა, როგორც მაგალითებრ, ინგლისშია, და მეორე, საცა სამინისტრო თითქმის დამოკიდებული არ არის პარლამენტზედა, როგორც დღეს გერმანიაშია. თქმა არ უნდა, რომ შტეინს უფრო გერმანიის წესი მოსწონს და სწუნობს ინგლისის წესსა. შტეინის სიტყვით, ინგლისის სამინისტრო სახელმწიფოს მოსამსახურე არ არის; იგი არის ყურ-მოჭრილი ყმა იმ დასისა, რომელიც სხვა-და-სხვა შემთხვევისა გამო ჰმეტობს პარლამენტში და რომელიც ცვალებადია. იგიო, ამბობს შტეინი, წარმომადგენელია პარლამენტში გაუფლებულის დასისა და ამიტომაც ზოგადი ხასიათი მთავრობისა ინგლისში იგია, რომ თავისით მთავრობას არა ხასიათი არა აქვსო. იქ პასუხის-გება სამინისტროსი ფუჭი სიტყვაა, იმიტომ-რომ მინისტრების დამოუკიდებლობასთან ერთად მათი პასუხის-გებაც გაჰქრაო, რადგანაც რაკი დასი განაგებს და მართველობს, ეგ პასუხის-გება უმიზეზოაო. შტეინის აზრით,—რაკი მინისტრები გაუფლებულის დასის წარმომადგენელნი და წინამძღოლელნი არიან და უნდა იყვნენ კიდეც, თუ არა და უნდა დაეთხოვნენ თავიანთ თანამდებობას, მაშ არავითარი შემთხვევა არ იქნება შესაძლებელი, რომ სამინისტრო პარლამენტის სურვილის აღმსრულებელი არ იყოს ყოველთვის. რაკი ესეა, მიზეზიც პასუხის გებისა თავის დღეში არ აღმოჩნდება. თუ მიზეზი პასუხის-გებისა სათავეში მოწყვეტილია, პასუხის-გება რიღას მაქნისია. ამაზედ ამყარებს შტეინი თავის აზრს იმის შესახებ, რომ ინგლისში პასუხის-გება მინისტრებისა უქმი სიტყვაა და სწუნობს იქაურს რიგსა და წესსა.

მეორეს მხრით შტეინი თითქმის მთლად იწონებს იმ რიგსა და წესსა, რომლის ძალითაც მინისტრები ისე დამოუკიდებელნი არ არიან, რომ ზოგჯერ მეტად „უცერემონიოდ“ ეკიდებიან პარლამენტის სურვილსა. იგი გვარწმუნებს, ვითომც გერმანიის სამინისტრონი ემსახურებიან გაუფლებულს დასს კი არა, არამედ „უმაღლეს იდეას, დედა-აზრს“ და ამიტომაც გერმანია „უკეთესი მაგალითია ჭეშმარიტის მიმოქცევისა ერთმანეთში ერთის მხრით სამინისტროსი და მეორეს მხრით პარლამენტისაო“. «დიდად შესამჩნევიაო, ამბობს შემდეგ შტეინი: რომ გერმანიის სახელმწიფონი თავის დღეში არ გადასდგომიან ჭეშმარიტს ბუნებას სამინისტროსასაო, თუმცა წესნი მართველობისანი ჯერ შემოკრებული და დასრულებული არა აქვთო. ამ საუკუნის დასაწყისში გერმანიას ყველგან არა ჰყოლია მინისტრები, გარნა საცა კი ჰყოლია, ნამდვილი მინისტრები იყვნენო.»

ჩვენ არ გამოვუდგებით შტეინის აზრის გარჩევას. ჩვენთვის ამ ქა-

ფელეტონი

თავადი იერონიმე

(სურათი გაბათილებულის კაცისა)

I

იყო და არა იყო-რა-კი, სცხოვრებდა ქვეყანაზე კაცი ვინმე და სახელი მისი იერონიმე. ამის ყოფნა არ-ყოფნა იყო: ქვეყნის უმარგებლო, ცარიელი ლეში. მაგრამ ესეც უნდა სთქვას კაცმა, რომ ქვეყანაზე ყველას თავისი ადგილი უპირავს, რისთვისმე არის გაჩენილი. „რწყილი რა არის, რწყილიო, იტყოდა ხოლმე ერთი ჩემი ნაცნობი,—რწყილსაც კი თავისი ადგილი აქვსო: იმან რომ მწვავე კბენა არ იცოდეს, შენი მტერი ჩვენ საქმე დაგვემართებოდა! — უიმისოდაც ძილის-გუდები, ერთიანად შიგ ჩავირჩობოდითო.“ ჩვენს იერონიმესაც თავისი უნარი ჰქონდა.

—

იერონიმე დაიბადა მაშინ, როდესაც ბატონ-ყმობა გახელებული იყო, როდესაც ჰაერი დატვირთული იყო ხალხთა კვნესით და დედა-მიწა დალტობილი მათის ცრემლებით. ბატონ-ყმობის მოსპობამ იერონიმეს კარგად დავაჟკაცებულს მოასწრო; ახალმა სიომ თავ-ბრუ დაახვია, ზარი დასცა და გამოურკვეველს ყოფაში ჩააგდო; მაგრამ მალე აირჩია ისეთი გზა ცხოვრებისა, გზა საშინელი, რომელზედაც ნილოსის ნიანგივით ჩასაფრებული იყო და უდიერად ჰყლაპავდა მსხვერპლსა.

ამ ჟამად თავადი იერონიმე მოხუცებაში გახლავთ; უწინ მისი ეშხით სავსე თვალები, „მშვენიერის სქესის“ მკვლელნი, ჩამქრალა, ჩაფერფლილა და ოდნავ-ღა ბჟუტავს. ცხვირი მოჰგრეხია, არშიყობისაგან მოღალულის მამალივით გალურჯებია და ბუსუსი აუშვია; ის მშვენიერი ლოყები, რომელსაც ერთ დროს მზის სხივნი ეთამაშებოდნენ, მოკრძალებით ეარშიყებოდნენ და მორცხვად ეკონებოდნენ, მესტვირის გუდასავით დაფშუტულა. იერონიმე მაინც ეხტიბარს არ იტეხს: შეჭაღარავებულს თმა-ულვაშზედ ბასმას იდებს. მაგრამ ბუნება ტყუილს არ ეწყობა და ამიტომ ბასმით ნალები თმა-ულვაში აფთრხობს მუშტარსა. იერონიმე ფხაკურ-ფაფხურობს, მაგრამ უკლანკო ლომივით ველარას ხდება. „ყველას თურმე ბოლო ჰქონია“, მწარედ ამბობდა ხოლმე ნათრევი და ათას ჩლაში გამოვლილი იერონიმე. დიალაც, დიალაც! ჩასჩურჩულებდა ყურში რაღაცა უცნაური ხმა,—ყველას ბოლო აქვს, და უფრო ცუდი ბოლო აქვს იმას, ვინც „ხორცი ალალა, ასუქა და სულს გადაუდგა მტერადა“-ო. ბუნდადა ჰგრძნობდა, რომ ეს უცნაური ხმა ჰაერში ტრიალებს და ველარსად ვერ მიმალვია.

II

ერთს დილას თავადი იერონიმე სწორედ მარცხენა ფეხზე ადგა. ამას კარგა-ხნის ამბავს მოგახსენებთ. სულ ილრინებოდა, დედა-კატუნასავით ტანში ლერწვით იყო. მოაჯირზე ბოლთა დაიწყო დარდების განსაქარვებლად; მოუთმენლად აქედ-იქით იჭვრიტებოდა; ვიღასაც ელოდა.

— სალომე! კნეინა სალომე! აბა გამოდი ერთი და გაჰხედე, შენ უფრო თვალი გიჭრის, არ მოდის ის მამა-ოხერი! ხმის კანკალით დაუძახა იერონიმემ, რომელსაც ხელთ ჩიბუხი ეჭირა და მალი-მალ უკიდებდა ცეცხლსა. მოკიდების დროს ჩვენი ბატონი იერონიმე წელში უწყალოდ იზნიქებოდა, ძლივს-ძლივს-ღა სწევდებოდა ჩიბუხსა და ისეთს ქარსააყენებდა ხოლმე ხვნეშით, რომ დღეში ერთი კოლოფი წუმწუმა არა ჰყოფნიდა.

— რა ძალიან გეჩქარება; ჩვენის ბანდიანის ბიჭის ამბავი არ იცი? როდის მოსულა ამაზე ადრე... ჩემო სიცოცხლევ, რადა ხარ აგრე ამღვრეული და აბორბოქებული... ე ჩიბუხი უფრო გულს გადაგიღლევს, რად მისდგომიხარ ასრე დილა-ადრიან და სწოვნი მწარე ბოლსა. მითხარ, ავად ხომ არა ხარ? ჩაეკითხა კნეინა აბორბოქებულს თავადსა და თვალებში შეასტერდა.

— მარცხენა ფეხზე ავდექი; გული რაღაც საწყენს მითქვამს. და რომ გული გადეყოლებინა, მოჰხვია თავადმა ხელი კნეინად წოდებულს სალომეს და ჩაჰტლოშა.

— ქა, რაღა დროს ჩვენი ხვევნა-კოცნაა!

— ერთი სიყმაწვილით და ერთიც სიბერითაო, ხომ გაგიგონია; იმიტომ გეტრფი, რომ გულიდამ შავი ფიქრები მოვიშორო.

თავადმა ჩიბუხი მიაყუდა და ჩამოჯდა სკამზე. სახე გაუბრწყინდა, თვალები მოეწმინდა; შავი ფიქრი, რომელიც გულზე აწვა და სულს უხუთავდა, ნელ-ნელა გაუქარდა, ნისლი აეხადა სახიდამ. თავადი სიამოვნების ნიშნად სტვენას მოჰყვა. პატარა ხანს უკან მოაჯირზე წინ-და-უკან ხელებ შემოყრილო დაიწყო სიარული.

სახლი ერთობ ღარიბულად ჰქონდა მოწყობილი. იმ ოთახში, რომელშიაც განისვენებდნენ ხოლმე თავადი თავისის კნეინითა, გრძელი ტახტი იდგა; აქედ-იქით ეწყო ორი ოსური სამფეხა იმ სიგძე-სიგანისა, რაც ჰქონდათ ორს ბრწყინვალებასა. კნეინა სალომე მუდამ უჩივოდა თავის სკამსა: გვერდები ჩამომცალა ამ გულ-მკვდრის გაკეთებულმაო და კაბა აღარ შემარჩინაო. ბუხართან ეყუდა ყბა მოტეხილი და ლურსმებით დაკრული ძაშა, რომლითაც „ნეფე-დედოფალი“ (ესე უწოდებდნენ თავიანთს თავსა არშიყობის დროს) ჰხალავდნენ ბატებსა. ფანჯარაში, რომელსაც იერონიმე და, თავისის „ნეფის“ მიხედვით, „დედოფალიც“ „აკოშკას“ უწოდებდნენ, იდგა ხოლმე პირ-ამომტვრეული ცხავატური სურა, რომელსაც მოსვენებ

მად საჭირო არ არის ვიცოდეთ, რაშია შტეინი მართალი და რაში მტყუანი. ეს სულ სხვა საგანია და ამისათვის ჩვენ არც დრო მიგვიძღვის და არც ადგილია. ჩვენ თუ ამაზედ ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, მარტო იმისთვის, რომ დღევანდელს მოქმედებას ბისმარკისას ერთის მხრით და გერმანიის პარლამენტისას მეორეს მხრით სათავე ვუპოვოთ. კაცი რომ დაუკვირდეს შტეინის აზრსა, და ამ აზრს ქვეშ დაუყენოს ბისმარკის დღევანდელი მოქმედება, თვალ-ნათლად დაინახავს, რა წყაროს დასწაფებია ბისმარკი და რა დედა-აზრი გაუხდია საგნად თვისის მოქმედებისა. ამ ოცის წლის წინად, ბისმარკმა პირდაპირ გამოუცხადა პრუსიის პალატას, როცა დღევანდელებრ ერთმანეთს დაეტაკნენ, რომ „ჩვენ თქვენი მინისტრები კი არა ვართ, ჩვენა ვართ მინისტრები მისის დიდებულების კოროლისაო". მერე საიმპერიო სეიმში 1879 წ. იგივე აზრი წარმოსთქვა. „სამინისტროს შეუძლიან დაუთმოს რომელსამე დასს, რომ ზედ-მოქმედება იქონიოს ზოგიერთა საქმეთა მსვლელობაზედ იმ მომხრეობის სამაგიეროდ, რომელსაც დასი სამინისტროს აღმოუჩენს. ხოლო თუ იგი დასი მოიწადინებს, რომ თვითონ განაგებდეს სამინისტროსა, ამით იგი იძულებულ ჰყოფს მთავრობასა წინ გადუდგეს. მე თავის დღეში, მას აქედ რაც მინისტრადა ვარ, არც ერთს დასსა არ ვკუთნებულვარ და არც მინდოდა ვკუთნებოდი. რაც დასები არიან, თვითეულად ყველასა ვძულდი, იქნება ზოგიერთს კი უყვარდი. მე არ შემიძლიან, მთავრობას არ შეუძლიან კუდად გამოებას რომელსამე ცალკე დასსა და იმის უკან ირბინოს. მთავრობა უნდა ვიდოდეს იმ გზით, რომელიც თვითონ მას სწორე გზად მიაჩნია და პარლამენტის გადაწყვეტილება უნდა მარტო ამოწმებდეს სისწორეს გზისას. სამინისტროსათვის საჭიროა მომხრეობა დასებისა, მაგრამ იგი თავის დღეში არ დაემორჩილება ბატონობას არც ერთის დასისას". *)

აბა ყოველივე ეს შეუწონეთ შტეინის თქმულსა და ჰნახავთ, რომ ბისმარკი ამ საქმეში მიმდევარია ხსენებულ მეცნიერისა და წარმომადგენელია და განმახორციელებელი შტეინის დედა-აზრისა. ამ დედა-აზრის გამო, რომელსაც ასე უფთხილდება ბისმარკი და რომლისთვისაც იგი დღეს ებრძვის გერმანიის პარლამენტსა, — გერმანიაში ეგრედ წოდებულს „სამინისტრო კრიზისს" სულ სხვა ფერი ადევს. იქ სამინისტრო კრიზისის მიზეზად გახდება ხოლმე მარტო უთანხმოება რომელისამე ცალკე მინისტრისა და საიმპერო კანცლერის შორის. „ვიღაც ფალკები და ფრიდენტალები", ამბობს ერთი მწერალი: იძულებულ არიან დაეთხოვონ სამსახურსა, თუ გაბედვენ და არ ეთანხმებიან ბისმარკსაო". ესეთია დიდის ხნის სურვილი ბისმარკისა და რაკი დღეს საქმეთა მსვლელობამ გერმანიის პარლამენტი გადუდობა წინ ამ სურვილსა, ადვილად მისახვედრია რა გამწარებული უნდა იყოს ბისმარკი.

ახლა ვიკითხოთ, რას ჰთხოულობენ პარლამენტის მომხრენი? ამ საკითხავზედ პასუხი მცირეოდენად ზემო-თქმულშიაც მოიპოვება და გარდა ამისა ჩვენ ამას წინადაც გაკვრით მოვიხსენიეთ ჩვენს გაზეთში. ხოლო თვითონ მომხრეთა რომ ვათქმევინოთ ამისი პასუხი, უფრო მართალი და დასაჯერებელი იქნება. დღეს, როგორც მოგეხსენებათ, გერმანიის პარლამენტი დათხოვნილია და ახალი არჩევანია დანიშნული, რომ გერმანიის ერმა თვისი აზრი გამოსთქვას—ახლად ამორჩეულ დეპუტატთა პირითა. რომ გერმანიის ერი არ მოტყუვდეს და საკითხავ საგნად პარლამენტის მიერ დაწუნებული სამხედრო კანონ-პროექტი არ მიიღოს, პარლამენტის მომხრეებმა ამისთანა საარჩევანო მანიფესტით მიჰმართეს ამომრჩევლებს:

> თანა-მოაზრენო და თანა-მემამულენო! საიმპერიო მთავრობამ გადააყენა რეიხსტაგი და თქვენ მოგმართათ საკითხავად. ამ სახით, თქვენ წინ წარმომდგარია ერთი საგანი გადასაწყვეტად: ჰსურს ქვეყანას იქონიოს ცხადი და არსებითი საკონსტიტუციო უფლება, თუ სთმობს და ხელს იღებს ამაზედ?
>
> მომეტებული ნაწილი რეიხსტაგისა დასთანხმდა, რომ კარგა ბლომად მოემატოს ჯარსა. ამ მხრით ვერაფერი ვერ დავათმობინეთ. მაინც ამ მომეტებულს ნაწილს რეიხსტაგისას სწამობენ, რომ ვნება მიაყენა სახელმწიფოს მხედრობის ძლიერებასაო. ჩვენ დავუთმეთ სამინისტროს ყველაფერი, რაზედაც კი ჩვენი სინიდისი ნებას გვაძლევდა. ჩვენ მხოლოდ არ გვინდოდა გათამამებულს ბძანებას დავმორჩილებულიყავით; ჩვენ არ მოვინდომეთ გაგვეწირა ჩვენი უფლება ზედამხედაობისა.
>
> მღვიძარედ იყავით; თავი გამოიდეთ ყველგან, საცა კი შეგიძლიანთ, და ეპირისპირეთ მართალის შებღალვას და ტყუილს ბრალდებას. ნუ დაივიწყებთ, რომ თუ რეიხსტაგი ამ საქმეში თავს მოიხრის, ღონე აღარ ექმნება წინააღუდგეს სითამამეს სამინისტროსას არაფერში...
>
> დღევანდელი დღე ისეთია, რომ ან „ჰო" და ან „არა". ოღონდ ყველამ თავისი მოვალეობა აღასრულოს, მართალი შეიმოსება ძლევით და გერმანიის იმპერია გადურჩება იმ საშინელს განსაცდელსა, რომლის მსგავსიც ჯერ არ უნახავს მას აქედ, რაც იგი ხელ-ახლად აღორძინდა .

აი ჭეშმარიტი მნიშვნელობა დღევანდელის ჭაპან-წყვეტისა გერმანიაში. ამ საქმის ძარღვი ისეთია, რომ მისი ხელის ხლება და დიდის ტკივილების აშლა გერმანიისათვის ერთია. ამიტომაც საკვირველი არ არის, რომ მთელი ქვეყანა მოუთმენლად მოელის,—რას იხერხებს ყოვლის მომხერხებელი ბისმარკი? თუ არჩევანმა მომხრეები გამოუგზავნა ბისმარკს რეიხსტაგში, მაშინ პასუხი ცხადია და საქმის გაძღოლა ძნელი არ არის. გაჭირება მაშინ იქნება, თუ არჩევანმა უმტყუვნა ბისმარკს. აბა სწორედ ამას ჰკითხულობენ, მაშინ რასა იქმს ბისმარკიო? ვისაც ბისმარკის ვაჟ-კაცობა და სითამამე შეტყობილი აქვს, ის ამასაც პასუხს მოუპოვებს. ხოლო მაშინ რასა იქმს გერმანიის ერი, თუ ბისმარკი თავის თვისებისამებრ ლომსავით მოიქცა? აი საკითხავი, რომელზედაც პასუხი „არ ეგების".

---

*) ბისმარკის სიტყვა, წარმოთქმული 9 ივლისს 1879 წელსა საბაჟოს ახალის ტარიფის გადასახადის გამო

ახალი ამბავი

⁂ ქართლში ზოგიერთს ალაგას მცირე თოვლი მოსულა. საცა დიდი თოვლი დაუდვია, იქ სულ მიმოუფანტავს საშინელს ქარსა და კორიანტელს. ხალხი ამბობს, რომ მოსავლისათვის ცუდი იქნება, თუ თოვლი არ მოვიდა კიდევა და არ შეერგო დედა-მიწასაო.

⁂ გუშინწინ, 25 იანვარს, ბაქოში მცხოვრებელმა ბ-ნმა ლალაევმა იყიდა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან კონსტანტინე ზუბალოვის სახლები, რომელიც ბანკს დარჩა, რადგანაც დეკემბერში დანიშნულ საჯარო ვაჭრობით ვერ გაიყიდა. ბანკმა აწ მიჰყიდა იგი სახლები ბ-ნს ლალაევს, რომელმაც ვალი მთლად და უკლებლივ თავის თავზედ გადიტანა, წარსულის დროს შემოსატანი ბანკში სულ შემოიტანა და თაენ მიაც ათასი თუმანი გადიხადა. ამ სახით, ბანკს ამ სახლებში არა უზარალნია-რა.

⁂ ქართლიდამ გვწერენ: ამბობდნენ, რომ პატარა ლიახვზე უნდა ხიდი გამართონო; ამ საქმისათვის ფულიც ჰგროვდება გორის მაზრაშიო. ეს ხმა ლამის გამართლდეს: შევიტყეთ სარწმუნო კაცისაგან, რომ საკმარისი ფული ხიდის გაკეთებისათვის თითქმის შეკრებილიაო და გაზაფხულისათვის მგონი შესაძლო იყოს ხიდის აშენებას შეუდგნენო. მართალია ეს ამბავი, თუ არა, ჯერ ამისი გადაწყვეტით თქმა ძნელია. მაგრამ ჩვენ ამას ვიტყვით, რომ პატარა ლიახვზე ხიდის გაკეთება დიდად საჭიროა შუა ქართლისათვის. ამ მდინარეს ორთავ მხრივ სოფლები არტყია, რომელიც ერთმანერთს გასცქერიან; სოფლებს შუა დიდი მანძილი არ არის, მაგრამ მისვლა-მოსვლა კი შესწყდება ხოლმე დიდის წყლობისა გამო ზაფხულობით და ყინულებისა გამო ზამთრობით. ხიდის გაკეთება ამ მდინარეზე იმ ალაგას, ზადაც ეხლა გზა-ტკეცილი გასდევს, ე. ი. ტყვიავსა და ტირძნის შუა, საძნელო არ არის, რადგან ძალიან განიერი კალაპოტი არა აქვს. ყველა ქართველისათვის ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა ექმნება ხალხისათვის პატარა-ლიახვზე ხიდის გაკეთებას და ამიტომ იმედია, რომ ის მოთავე კაცები, რომლებიც ფულის მოგროვებას შეუდგნენ ხიდის გასაკეთებლად, მალე დააბოლოვებენ ამ საქმესა.

⁂ გორიდამ გვწერენ: ყველა მაზრის ქალაქებში გამართულია წმინდა სანთლის საწყობები და დუქნები მართლ-მადიდებელ ეკკლესიებთან სანთლის გასასყიდად. ეს დუქნები და საწყობები წმინდა სანთლისა თითქმის ერთად-ერთი საშუალებაა სასულიერო სასწავლებლების შესანახად. სხვათა შორის, ამ გვარი საწყობი და დუქანი გორშიაც არის და აბარიათ ზედამხედაობა მღვდელს და ბლაღოჩინს მ. ნასყიდოვსა. ამ ბოლოს დროს ჩუმ-ჩუმად დაუწყეს სანთელს გასყიდვა ვაჭრებმაც და ამითი აზარალეს ეკკლესიის წმინდა სანთლის დუქნები. ამის გამო მ. ნასყიდოვმა მისწერა თურმე თავისის საბლაღოჩინოს მღვდლებსა, რომ არამც-და-არამც არავინ გაბედოს სხვაგან ყიდვა სანთლისა, თუ არ თავიანთს საკუთარს დუქანში. მ. ნ—ს აუხსნია სამღვდელოთათვის, რომ თუ უგულოდ მოექცევით სანთლის საქმეს, მაშინ სასულიერო სასწავლებელთა საქმეც სანატრელად ვერ წავაო.

⁂ სენაკის მაზრიდამ გვწერენ: ჩვენს მაზრაში ძალიან არის გავრცელებული სწავლის სურვილი. თვით უმცირესნი საზოგადოებანიც-კი არ ერიდებიან ხარჯს და სკოლებსა მართავენ. ასეთი მცირე საზოგადოებაა, მაგალითად, აქ გულეკარის საზოგადოებაცა. ამ საზოგადოებაში სულ 300 მოსახლე კაცი ითვლება, მაგრამ აქაურებს მაინც სკოლა აქვთ გამართული. სკოლის მოწყობა დაუჯდა საზოგადოებას 1,200 მანათამდე. მასწავლებელს იმდენსავე ჯამაგირს აძლევენ, რასაც სხვა დიდი საზოგადოებანი. სკოლაში ამ ჟამად 50—60-მდე შეგირდი, ქალი თუ ვაჟი, სწავლობსო.

⁂ გაზ. „მწყემსი" ამბობს, რომ სასულიერო მთავრობას ერთი კარგი წესი შემოუღიაო. საცა რომელიმე

არა ჰქონდა სიმინდის ბატვის დროს. აღმოსავლეთის კუთხეში, იქვე, ბუხრის ამყოლთან, ესვენა ხატი წმიდათა უვეცხლოთა კოსმა და დამიანესი, რომელნიც შელანძულ და შეფერფლილიყვნენ ბუხარში ბერვისაგან; ფიანდაზა გაყვითლებულიყო და აქა-იქ ქვარტლიც ჩამოჰკიდებოდა. იერონიმეს ეს ხატი ძრიელ უყვარდა. ვინც შემოვიდოდა, უწინ ამ ხატს აჩვენებდა, როგორც იშვიათს რასმესა.

— ეს, ჩემო ბატონო, მოახსენებდა თავადი იერონიმე, გახლავთ ხატი წმიდათა უვეცხლოთა კოსმა და დამიანესი; მე ეს ხატი, ჩემო ბატონო, პოლშის ვარშავში ვიყიდე... მომითმინეთ, ახლა ისიც მოგახსენოთ, თუ რად ვიყიდე: პოლშაში მყვანდა, ჩემო ბატონო, ორი მეგობარი კაცი; ერთს ერქვა კოსმა, მეორეს დამიანე. ეს უკანასკნელი, ყმაწვილო, აი ეს დამიანეი, — არა, უკაცრავად ,—ის დამიანეი, საშინელი გაიძვერა რამე გახლდათ, ასე რომ მე ათის თაბახით მაჰარბებდა: ჩურჩული არ გამოეპარებოდა ხალხში და მაშინვე მიჰქონდა ჩვენს ბატონთან ხელის-უფალთან. ერთის სიტყვით, გაიძვერაობის მოძღვარი იყო. კოსმა კი კალმის კაცი გახლდათ: პირველი შემთხზველი იყო «დანოსებისა». მისი კალმის ამ გვარი ნიმუშები ბევრი მაქვს თანა; მეც ხშირად მჭირდებოდა და მჭირდება კიდევაც ამ წუთის-სოფელში.

სამხრეთის კუთხეში ეკიდა თავადის, ჟამთა ვითარებისაგან, დაჟანგებული და დამტვერიანებული საჭურველი: მგლის ტყავის ბუდეში ჩასმული მამა-პაპეული თოფი; ამის ქვემოდ ეკიდა შევერცხლილი დამბაჩა, ხმალი და საპირიწამლე, რომელიც თავის დღეში არ უხმარნია, არც მოხმარება სცოდნია. «ალბად თავი არ ელირსებოდა ხელი შაეხო მამა-პაპეულის იარაღისათვის, რომელიც არა ერთხელ და ორჯელ ამოგებულა და შესვრილა მტრის სისხლითაო», ამბობენ ხოლმე მეზობლები. «დამტვერიან-დაჟანგებულს საჭურველს რომ სული ჩასდგმოდა, უწინ იერონიმეს ამოაძრობდა კლიტიანად ენას, ენას, რომელსაც მუდამ მოძმეთა საკლავად ლესავდა; თან ამოაღევნებდა ენას სულსა, რომელშიაც ჯოჯოხეთი დამკვიდრებულიყო. იარაღს დაჰპატრონებიყო ობობა, რომელსაც დაექსელა იგი; ქსელებზე-ღა ეკიდნენ და ქანაობდნენ სისხლ-გამოცლილი და გამოფშუტული ბუზები. მრავალ-ფეხა მუდამ ჩასაფრებული და სულ-განაბული იყო, რომ კვალად ენახა მსხვერპლი და გამოესრუტა მისგან სიცოცხლე.

კნეინად წოდებულს სალომეს კალათაში მუდამ დედა-კატუნა უჯდა; იგი იყო გასუქებული, ბალან-დაწმენდილი, როგორც თვისი პატრონი სალომე. როცა სალომე ჩვეულებისამებრ ბუხართან დაბძანდებოდა და სიმინდის ხალვას მიჰყობდა ხოლმე ხელსა, ხრუტუნა ხატაური მძიმედ, დინჯად მიივლიდა და დაეკიდებოდა სალომეს კაბის კალთაზე, ფრთხილად ასდგამდა ფეხს და ჩაუწვებოდა კალთაში მათს ბრწყინვალებასა. როდესაც „ნეფე-დედოფალს" მოსწყინდებოდათ ბატვა და წყლის სმა, ხრუტუნას დაუწყობდნენ ალერსსა. ალერსის ნიშნები ზედ ემჩნევა ხატაურს: ფერდები გამომწვარი ჰქონდა გახურებულის მაშით; ხშირად სალომე, ბატვისაგან გაბეზრებული, ხატაურს ღადარში ჩაუყოფდა ხოლმე ფეხსა; გაცეცხლებული პირუტყვი ფიცხლავ გადმოხტებოდა იატაკზე, იწყებდა ჯარასავით პროწიალს, ფხუკუნს, კოწიაწს და ნაღვერდლის ბღვირს ზედ თავზე გადმოაყრიდა ხოლმე ბრწყინვალე პატრონებსა. როდესაც კატა, ცეცხლისაგან გამწარებული, შესაბრალისად და საზარლად მოჰყვებოდა ხოლმე ფხაკურს და ფეხის თავში ცემას, «ნეფე-დედოფალი» გადაკოტრიალდებოდნენ ტახტზე და მათს ხარხარს საზღვარი აღარ ექმნოდა.

მეორე ოთახი იერონიმეს უფრო ევროპიულადა ჰქონდა მოწყობილი და სასტუმროდ იყო გადადებული; ოთახის მორთულობა იყო: რგვალი სტოლი დივნით, დაწნული სკამები ძველის მოდისა და კედელზედ სხვა-და სხვა სურათები, რომელიც წარმოადგენდა ბრძოლის ველს, ადამიანის სისხლით მორწყულსა. ერთი სურათი იყო ასურელების ცხოვრებიდამ—არ ვიცი კი, სად ეშოვნა: მკაცრის, შეუბრალებელის, კაცი-ჭამია აზიელის ტირანი მეფის წინა ჰყრიან ხელ-ფეხ შეკრულნი ტყვენი; ზოგს მათგანს ჰსერავენ დანებით და მარილს აყრიან, ზოგს გაზებით ხორცს ჰგლეჯენ, ზოგს ბეჭის ფრთებიდამ ტყავს აძრობენ. ეს სურათი „ნეფე-დედოფალს" გასაოცრად მოსწონდათ: დინჯ შემოიყრიდნენ, მიუძღვებოდნენ სტუმარს და გაასინჯებდნენ ხოლმე ამ საზარელს სანახაობასა.

— საშოლტეებს აძრობენ ამასა, ჩემო ბატონო, ასე დაიწყობდა ხოლმე თავადი იერონიმე. მაინც მეტის ღირსი არ არის მონა; მაგათი ტყავი მაგარია, ყველას აიტანს.

ერთხელ, როდესაც ასე ებაასებოდა თავის ნათესავსა, ახალგაზდა ყმაწვილსა, ზიზღით იხსენიებდა ხალხსა და მის ტყავს საშოლტეებად სახავდა, ნათესავმა სიტყვა გააშვებინა და უთხრა:

— ბიძია, შენი ტყავი კი კაი სატომრე იქმნებაო! — ისედ ნაირად ეწყინა იერონიმეს, რომ ყმაწვილი კაცი მაშინვე არ გამოჰსცლოდა, სწორედ შუაზე გაჰგლეჯდა.

(შემდეგი იქნება)

ადგილი დაიცლება, მთავრობა აცხადებს გაზეთში საყოველთაოდაო ამ სახით ყველა, ვისაც-კი იმ ადგილის დაჭერა უნდა, მიართმევს ქაღალდს მთავრობას და ითხოვს დაცლილს ალაგსაო.

*** ტფილისში ჰყიდულობენ საქართველოსა და კავკასიაში ნაპოვნ ძველს ნივთებსა, იარაღს, ფულს და სხვა ამ გვარსა აგენტები ერთის ოდესელის ევრის კაცისაო, ამბობს გაზ. «ნოვ. ობოზ.».

*** ერთი რუსული გაზეთი ამბობს, რომ ზამთარში, როცა 6—8 გრადუსი სიცივეა, ნავთი იყინება თურმე ბაქოსკენ ნავთის-გამყვან მილებში და ძალიან ძნელდება ამ სახით მისი დენაო. ეს გარემოება სახეში უნდა მიიღოს იმან, ვინც ბაქოსა და ბათუმს შუა ნავთის გამყვან მილების გაკეთებას იკისრებს, რადგან სურამის უღელტეხილზედ საკმაოდ ცივი ზამთარი იცისო.

*** მეორე რუსული გაზეთი ამბობს, რომ რკინის გზებს ფასი უნდა დააკლებინონ სხვა და-სხვა გვარის მიწის სასუქის გადატანაზეო როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიო. ამას გარდა ამიერ-კავკასიის ვენახების და ბაღების პატრონთ უთხოვნიათ მთავრობისათვის, რომ რკინის გზამ ცოტა აიღოს ხოლმე საქართველოშიაცა და რუსეთშიაც ხილის გადატანისათვის ერთის ადგილიდამ მეორეზეო.

*** გაზ. „კავკაზი“ ამბობს, რომ მთავრობა ბევით მიიღებს მოიჯარადრეთა და სოვდაგრებისაგან სხვა-დასხვა ფასიან ქაღალდებს შემდეგ ფასად: ფოთი-ტფილისის რკინის-გზის აქციებს—144 მან., ჰლირან-კი 125 მან.; ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ობლიგაციებს 60 მან., ჰლირს-კი 100 მან.; ტფილისისა და ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკების გირავნობის ფურცლებს 72 მ., ჰლირს-კი 100 მან.

*** ნავთის ფასმა აიწია ამ ქამად ტფილისში. ფუთი ნავთი ისყიდება 1 მან. 20 კ.

*** დეკერშენკს დაუწერია ოპერა „ჰაჯი-მურადი“. ამ ოპერას იმღერებენ თურმე პეტერბურგის ერთს-ერთს თეატრში 20 იანვარს. ლიბრეტო ამ ოპერისათვის მოუმზადებია ბ-ნს ოსტროვს. დეკერშენკსაც და ოსტროვსაც ტფილისის საზოგადოება საკმაოდ იცნობს, რადგან ერთიცა და მეორეც ამ რამდენისამე წლის წინად ტფილისში მოღვაწეობდნენ.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ქ. სიღნაღი, 18-ს იანვარს. წარსული წელიწადი ჯეროვანის წყევა-კრულვით გავისტუმრეთ. სიხარულითა და აღტაცებით მივეგებენით ახალ-წელიწადს. ცოტაოდენი მიზეზიცა გვქონდა, რომ მხიარულად მივეგებებოდით ახალ-წელს.

ხომ მოგეხსენებათ, რა უკან-ჩამორჩომილი ქალაქია ჩვენი ქალაქი. არავითარი საერთო საქმე, საზოგადო ინტერესები აქ არ არსებობს. ყველა განმარტოებითა სცხოვრებს და თავის თავზე ჰზრუნავს მხოლოდ. ეს ამბავი ვერაფერი მანუგეშებელია მთელის მაზრისათვის. მთელის მაზრის ავიც და კარგიც დამოკიდებულია მომეტებულად თვით სამაზრო ქალაქზე. თუ სამაზრო ქალაქი სიცოცხლეს იჩენს, მაზრაც მის მიხედვით წინ მიდის, თუ არა და მაზრაც და სოფელიც ისეა მიყრუებული, როგორც თვით სამაზრო ქალაქი.

ჩვენს სიღნაღსა სძინავს და სთვლემს მის მაზრასაც... ამ ყოფაში ჩავარდნილი ქალაქი ცოტაოდნად გამოაფხიზლა ახალ-წლის მიგებებამ სამოქალაქო სასწავლებელში და 4-ს იანვარს გამართულმა წარმოდგენამ „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ.

ამ ორმა საღამომ დაგვიმტკიცა, რომ ჩვენშიაც შეიძლება რაიმე წამალი დაედოს უზრუნველობას, მხოლოდ საქმოა იყოს ისეთი ვინმე მადლიანი, რომელმაც მეთაურობა იკისროს ამ საქმეში. სასიამოვნოდ განვლო პირველმა კვირამ ახალის წლისამ, მაგრამ ყუველი სიამოვნება პირველის კვირისა მთლად მოსწამლა 14-მა იანვარმა. ეს დღე დიდი მნიშვნელოვანი დღეა საქართველოსათვის. კერძოდ ჩვენ სიღნაღისთვის ამ დღის ჯეროვანი დახვედრა და დღესასწაულობა მეტი ბარგი არას გზით არ უნდა იყოს. ჩვენ სიღნაღლები ერთი-ორად მოვალენი ვართ ეს დღე ჯეროვანად ვიუქმვიდღესასწაულოდ, მით უფრო, რომ ქართველ განმანათლებელის საფლავ-მონასტერი აქვე ახლოსა გვაქვს. მართალია, ზოგიერთებმა მოინდომეს ეს დღე ჯეროვანის ქართულის ლხინით გაეტარებინათ, მაგრამ მხარი არავინ მისცა...

ი. კახელი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

„Волжскій Вѣстникъ“-ს მოჰყოლებია ერთი «შინაური საქმე», რომლის გამოც ამას წინად დიდი გაცხარებული ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა იყო ჟურნალ-გაზეთობაში და მერე-კი ერთბაშად თავი მიანებეს. ეს ლაპარაკი ატეხილი იყო ახალ სასამართლოს გამო. ახალ სასამართლოში საქმეები, როგორც ვიცით, საქვეყნოდ ირჩევა, ყველას შეუძლიან საქმის გარჩევაზე დაესწროს. და აი დღეს ზოგნი ამბობენ, რომ ეს კარგი არ არისო, საზოგადოებას სასამართლოს კარი უნდა დაეკეტოს, გარეშე ხალხი არ უნდა დაესწროს ზოგიერთ საქმის გარჩევის დროსაო.

გაზეთი «Волжскій Вѣстникъ»-ი ამის გამო სამართლიანად ამბობს:

> ვინ რას მოიგებს, ვის რა სარგებლობას მოუტანს, რომ ზოგიერთი საქმეები, თუნდ, მაგალითებრ, კაცის-კვლის თაობაზე, საიდუმლოდ, ჩაკეტილ-ჩაზურულში გაირჩეს და საზოგადოებამ მხოლოდ ის იცოდეს, რომ ესა-და-ეს ამბავი მომხდარა, ესა-და-ეს საქმე ყოფილა სასამართლოში და დამნაშავე გამართლებიათ, ან დაუსჯიათო? ამბობენ, კაცმა ვიღაცა მოჰკლაო, რადა, რის გულისთვის, რამ აიძულა, რა გარემოებაში?.. არავინ იცის. დამნაშავე გაამართლეს, ან კატორღაში გაგზავნეს.—რადა? ესეც არავინ იცის. ნუ თუ ავ-კაცობა, ბოროტ-მოქმედება შემცირდება, როდესაც საზოგადოებამ არ ეცოდინება, როგორ, რა მიზეზით ჩაიდინა ადამიანმა ავ-კაცობა? ნუ თუ ან საზოგადოებას მოემატება რამე, როდესაც ამ გვარ საქმეებს დაუმალავენ? პირ-იქით, საზოგადოება უფრო ბევრს კარგს რასმეს სწავლობსო, როცა საქმის გარჩევაზე ესწრობა. საზოგადოებას თავის ყურით ესმის საქმის გარემოება, როგორ, რა გზით, რა მიზეზების გამო ჩაუდენია კაცს ბოროტი საქმე, აკვირდება, უფიქრდება ცხოვრებას, ცხადადა ჰხედავს ავსა და კარგსა...

ნუ თუ ყველა ამის ცოდნა კარგი არ არის საზოგადოებისათვის? ნუ თუ საზოგადოების წევრს უნდა დაემალოს, რა სჭირს საზოგადოებას ავი თუ კარგი? ავადმყოფმა რომ თავის სნეულება დამალოს, ამით ხომ თავს ვერ უშველის? ..

უცხოეთი

გერმანია. ევროპის საპოლიტიკო საქმეთა მდგომარეობა თან-და-თან უფრო მწვავდება და ძნელდება. გერმანია, როგორც ეტყობა, აღარა ხუმრობს და შეუსვენებლივ ემზადება; ჯერ ცხენების გაყვანა აღკრძალა გერმანიიდამ, ახლა კიდევ ხე-ტყის გატანა აღუკრძალავს; საფრანგეთის საზღვრებს ახლო ჯარის სადგომებს აშენებს და ამას გარდა გერმანიის მთავრობას განკარგულება მოუხდენია, რომ 8 თებერვლისათვის შეიკრიბოს ზურგის ჯარად 72,000 კაცი გითომ-და იმისათვის, რომ მაგაზინის თოფით სროლა ისწავლონო; და 28 თებერვლისთვის კიდევ სხვა 72,000 კაცი უნდა შეიკრიბოს ამავე საგნის გამოვო.

— გაზ. «Gaulois»-ი ამბობს, რომ გერმანია მალე მოემზადება, თუ ვინიცობაა ომი მოუხდაო. მაგალითებრ, პრუსიის ცხენოსანი ჯარი 24 საათში მოემზადოსო. მეხუთე დღეზედ ერთი ნაწილი ქვეითა ჯარისა უკვე მზად იქნება, მეცამეტე დღეზედ მთელის გერმანიის ქვეითა ჯარი შეთოფ-იარაღებული იქნება. პრუსიის ჯარი კი რვა დღეს მოუნდება საომრად მომზადებას. ცამეტს დღეში 830,000 ჯარის-კაცს მოამზადებენ; ამ ჯარს ზურგის ჯარი რომ მივუმატოთ, 460,000 კაცი, რომელიც ორს დღეში მომზადდება, სულ 1,266,000 ჯარის-კაცი ეყოლება მზად გერმანიას. მე-20 დღეზედ მეცხვანეთა ჯარი 800,000 კაცამდე შეიკრიბება,—ასე რომ სამს კვირაში გერმანიას შეუძლიან 2,000,000 ჯარის-კაცი გამოიყვანოსო...

— ერთი ლონდონელი გაზეთი ამბობს, რომ მთელს ბერლინსა და ვენაში 100 ფუთს ვერ იშოვნი ავსტრიის პურისასაო; რაც პური იყო, სულ გერმანიის მთავრობამ შეისყიდა ხუმად, საიდუმლოდ ჯარისათვისაო.

ბოლგარია. ვენიდგან დეპეშით აუწყებ გაზ. „Times“-სა: დიდმა ვეზირმა ოსმალეთისამ გამოუცხადა ბოლგარიის დელეგატებს და ვულკოვიჩსაცა, რომ რუსეთი აღარ დაამალებს ბოლგარებს, უთუოდ სამეგრელოს თავადი ნიკოლოზი ამოირჩიეთ მთავრადაო და ეხლა თავის მხრივ ახალ კანდიდატად დაასახელებს გიორგი მაქსიმილიანეს-ძეს ლეიხტენბერგელსაო.

— ამავე საგანზედ აი სოფიიდგან რა შინაარსის დეპეშა მიუწერიათ ვენაში: რუსეთი მაინც უარს არა ჰყოფს თავის კანდიდატს სამეგრელოს თავად ნიკოლოზს კიდრე თვით ბოლგარიის დიდი საერო კრება, ხელ-ახლად მოწვეული, უარს არა ჰყოფსო...

— ოსმალეთი სრულიად არ დათანხმებია ცანკოვს იმ პროგრამაზედ, რომელიც ამას წინად ცანკოვმა შეადგინა: ზოგიერთის პროგრამაში მოხსენებულის საგნის გადაწყვეტა თვით იმაზედ უნდა იყოს დამოკიდებული, ვისაც ბოლგარიის მთავრად ამოირჩევთო. ამისთანა საგნებად, სხვათა შორის, ოსმალეთს დაუსახელებია: ეხლანდელის ჯარის დათხოვნა და ახალის ჯარის შეკრება; რუსეთის გენერალის ბოლგარიის სამხედრო მინისტრად დანიშვნა; და 9 აგვისტოს დამნაშავეთა პატიება და სამსახურში მიღება.

ინგლისი. ლორდ რანდოლფ ჩერჩილს საზოგადოებათა პალატაში წაუკითხავს თავისი და მარკიზ სალისბერის მიწერ-მოწერა და მიზეზი დაუსახელებია თავის სამსახურიდგან გადადგომისა. მე სულ იმასა ვცდილობდიო,—უთქვამს ჩერჩილს, რომ სახელმწიფოს ცოტა ფული დაეხარჯაო. მთავრობა მეტად ბევრს ფულსა თხოულობს სამხედრო მოწყობისა და ჯარის შეიარაღებისათვისა. ევროპას ოთხ-კუთხივ ომი მოელის და ჩემი აზრა ის იყო და ინგლისის მთავრობასაც ის ურჩიე, რომ ყოველის ღონის-ძიებით ვეცადოთ მშვიდობიანობის დაცვასა-მეთქი. ჯარის შეიარაღებისა და მომზადების წინააღმდეგი იმიტომ ვიყავი, რომ როდესაც კაცს ხელში იარაღი უჭირავს, გული ძნელად მოუთმენს, თუ ვისმე არ წაატაკოს და ბრძოლაში არ ჩაერიოს. მე არა მსურდა, რომ ინგლისს ბრძოლა ჰქონიყო ვისთანმე და მთავრობა-კი ისეთს პოლიტიკას მისდევს...

— სალისბერს თავის წერილებში გამოუცხადებია, რომ თუ მთავრობა ემზადება, იმიტომ-კი არა, რომ ვისთანმე ბრძოლის განზრახვა ჰქონდეს, არამედ იმიტომ, რომ მთელი ევროპა ამ ჟამად შეიარაღებასა და მზადებაშია და არ იქნება ურიგო, რომ ინგლისიც მოემზადოს ყოველ შემთხვევისათვისაო. ინგლისის ხავთ-სადგურები და სამზღვრები კარგად არ არის გამაგრებულიო...

ავსტრი-ვენგრია. ავსტრიის სურსათის დეპარტამენტს უკვე ბრძანება გაუცია, რომ ჯარისათვის საჭირო ფქვილი და ცხენებისათვის თივა შეამზადონ. მოიჯარადრეებთან პირობა შეუკრავთ, რომ ყველა ჯარისათვის საჭირო სურსათი პირველ მარტისათვის მზად იყოსო.

— 18 იანვარს საერთო კრება ჰქონიათ ავსტრიისა და ვენგრიის მინისტრებსა იმპერატორის ფრანც-იოსების თავ-მჯდომარეობით. ამ კრებას სხვათა შორის გადაუწყვეტნია, რომ მთავრობამ სთხოვოს პარლამენტს ჯარის მოსამზადებლადა და გასაწყობად დასაჭირო ფულის ხარჯვის ნება-რთვაო.

— „Neue Freie Presse“ ამბობს, რომ ავსტრიას გერმანიისა და საფრანგეთის შორის მოსალოდნელი ომი უფრო აფიქრებს და იძულებულსა ჰყოფს, რომ შეიარაღდესო. ძნელად გასაგებია, რა გვარად იმოქმედებს ამ ორ დიდ სახელმწიფოთა ომი აღმოსავლეთის საქმეზეო. თუ მარტამდე ევროპის საპოლიტიკო საქმეთა მდგომარეობა არ გამოირკვა, ავსტრიის სამხედრო უწყება პარლამენტს კიდევ 30,000,000 მანეთს მოსთხოვს სამხედრო მოწყობისა და ჯარების მომზადებისათვისაო.

საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები.

წერილი პირველი

Археологич. путешествіе по Гуріи и Адчарѣ, დ. ბაქრაძისა, ატლასით დაბეჭდილი, პეტერბურგის საიმპერ. სამეცნიერო აკადემიის მიერ 1878 წ. ფ. 2 მ.

(დასასრული *)

აქონამდე მოღწეულ დაწერილ ნაშთთა შორის შესანიშნავნი არიან: ადგილობრივნი ქრონიკანი და საარქეოლოგიო საუნჯენი: წარწერანი ტაძრებზე, ხატებზე, ძველ წიგნებზე, აგრეთვე სიგელ-გუჯარნი და სხ.

ყველა ეს მასალანი ამ ბოლო დრომდე გამოუკვლეველნი იყვნენ. თვით დიდი ნაშთი ქართველთა, ქართლის-ცხოვრება მიაჩნდათ მეფე ვახტანგ მექვსის მიერ (1675—1737 წწ.) შედგენილ წიგნად. თუ კი ერთი რუსის მწერალი, ბ-ნი სენკოვსკი, გადაჭრილად ამტკიცებდა, რომ ქართველთა ვახტანგ მე-VI-მდე არა ჰქონიათ მატიანენიო, რომ თვით ქართველნიც მე-XII საუკუნემდე არ არსებობდნო, რომ იბერებად ითვლებოდნენ სხვა-და-სხვა ტომნი კავკასიისანი, რომ მტკვარს იქითი ქვეყანა, სადაც ეხლა ტფილისია, სულ მუდამ ეკუთვნოდა სომხეთსა (რომელიც, ჩვენ დაუმატებთ, აღარ არსებობდა მე-VIII-მე-IX საუკუნიდამ!) და დასახლებული იყო სომხებით, მიდიელებით, მასსაგეტებით ანუ თურქებით და ალბანელებით—თუ ყველა ამას ამბობდა მწერალი (?!), აბა რა აზრისა იქნებოდნენ ქართველთა ისტორიაზედ სხვანი, არა მწერალნი და უმეცარნი! ასე ჰფიქრობდნენ ქართველებზე ბროსემდე. მან თვისის შიმდგომელ, შეუდარებელ გამოკვლევებით, ქართველთ ისტორიულ ნაშთთა კრიტიკულად განხილვით და ფრანგულს ენაზე თარგმანების დაბეჭდვით, მთელს ქვეყანას აუწყა, რომ ქართულნი წყარონი და ნაშთნი სასაცილოდ ასაგდებნი არ არიან, რომ მათი გულ-მოდგინედ შესწავლა ნათელს ჰფენს არა თუ მხოლოდ ქართლოსიანთა დღეგრძელ ცხოვრებას, არამედ, საზოგადოდ, თვით კავკასიის და სხვა ერთა ისტორიასაც...

ქართლის ცხოვრების თქმულებანი რომ შეადარა ბროსემ მსოფლიო ისტორიის თქმულებათა, შეამჩნია, რომ პირველნი თვისას შინაარსით ბევრში სრულიად ეთანხმებიან მეორეების შინაარსს. ზოგიერთ შემთხვევაში-კი ქართველნი წყარონი ავსებენ და ნათელს ჰფენენ მსოფლიო წყაროებს. ამ ნაირივე შედეგი ჰქონდა ქრონოლოგიების შედარებას. ამ ნაირ შრომათ ბროსემ დაამტკიცა, რომ ქართლის ცხოვრება მეტად ძვირფასი განძია მეცნიერებისათვის და იგი სრულიადაც არ არის ნაყოფი ვახტანგ მექვსისა. მანვე დაამტკიცა სიძველე ქართლოსიანთა მოდგმისა, რომელიც ქართლის-ცხოვრებისავე თქმით გავრცელებული იყო ალაზნის მტკვართან შესართავიდამ მოკიდებული, კიდრე ტრაპიზონამდე, დებედას ხეობიდამ შავ-ზღვასა და კავკასიონის მწვერვალებამდე.

დ. ბაქრაძე განმარტავს-რა იმ ფაქტს, რომ საქართველოში ყველგან მრავლად მოიპოვებიან ისტორიულნი ნაშთნი, ამტკიცებს, რომ ეს ნაშთნი ღირსეულად არ არიან შესწავლილნი. მათ შეუსწავლელად საქართველოს ხეირიანის ისტორიის შედგენა შეუძლებელიაო. მართალია, ბროსემ მრავალი წერილობითი ნაშთნი თვის საქართველოში მოგზაურობის დროს 1847—1848 წწ. შეაგროვაო, სახელდობრ: 2,000 წარწერანი და 3,000 გუჯარნი და სხ., მაგრამ მიუხედავად ამისა, ჯერ ნახევარი ყველა მასალისა არ არის შესწავლილი და ცნობაში მოყვანილი.

გარდა იმისა, რომ ყველა მეგლთა, წიგნთა და ხატთა წარწერანი არ არიან შეგროვილნი და რიგიანად განხილულნი, აგრეთვე განხილვას მოელიან შემდეგნი, ისტორიისათვის ფრიად გამოსადეგნი, წყარონი: ა) საეკლესიო გუჯარნი, რომელთაგან 3,000 ცალი საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორამ 1852 წ. გარდასცა სახელმწიფო მამულების გამგეობას; ბ) სიგელნი ტფილისის გუბერნიის

---

*) იხ. „ივერია“ № 18.

თავად-აზნაურობისა—სულ 87 დიდი ფოლიანტი, რომელნიც ინახებიან იმავე გამგეობაში; გ) გუჯარნი იმერეთისა და სამეგრელოსი და დ) სიგელნი იმერეთისა და სამეგრელოს თავად-აზნაურთა.

აი რა გვარად ძვირფასნი არიან ეს სიგელ-გუჯარნი ისტორიისათვის. ბროსე ამბობს: სიგელ-გუჯართაგან ვხედავთ: სოციალურ ცხოვრებასა და კერძო კაცთა მდგომარეობას; ქვეყნის სარწმუნოებრივ, საერო და სამხედრო დადგენილებათა; რჯულ-დება-საკუთრებასა, სყიდვა-გასყიდვასა, მემკვიდრეობასა, მასტასა; მოქალაქეთა ურთი-ერთობასა და დამოკიდებულებასა; მცხოვრებლების მოვალეობასა წინაშე სახელმწიფოისა; ერთის სიტყვით, ყველა იმას, რაც ჰხატავს ხალხის დღევანდელს ყოფა-ცხოვრებას და სასვალიო ზრდას...

ამას გარდა, განაგრძობს ბაქრაძე, საქართველო შეუსწავლელია არქეოლოგიურად. ამ ქვეყნის დედა-მიწის ქვეშ, უეჭველია, მოიპოვებიან იმისთანა ნაშთნი, რომელნიც უმნიშვნელონი არ იქნებიან საქართველოს ყოველ მხრივ შესწავლისათვის.

ბაქრაძე სამეცნიერო აკადემიას უმტკიცებს, რომ დასავლეთ საქართველოსკენ, ესე იგი იმ მხრისაკენ, რომელსაც წინად ეწოდებოდა სამცხე-საათაბაგო, უფრო მომეტებულნი ნაშთნი მოიპოვებიანო და მათი შესწავლა აუცილებლად საჭიროაო.

სამეცნიერო აკადემიამ შეიწყნარა მოხსენება დ. ბაქრაძისა და იმავე წელს (ესე იგი 1873 წ.) თავის ხარჯით ჩვენი პატივცემული ისტორიკოს-არქეოლოგოსი დ. ბაქრაძე გაგზავნა აღნიშნულის ქვეყნის ნაშთების გასასინჯავად და გამოსაკვლევად.

მოსე ჯანაშვილი

გასართობი

საფრანგეთის მუშა-კაცი და ბისმარკი. თავის ახლად გამოცემულ მატიანეში განსვენებული გრაფი ბრეისტი მოგვითხრობს ერთს ამბავს ბისმარკზედ. ეს ამბავი თვით გერმანიის კანცლერს ბისმარკს უამბნია გრაფისათვის. როდესაც უკანასკნელად გერმანიის იმპერატორს პარიჟის მახლობლად თავისი ჯარები უსინჯავს, ბისმარკი დასცილებია ხელმწიფის ამალას და ამ დროს ერთი საფრანგეთის მუშა-კაცი მისულა ბისმარკთან და უთქვამს: „ბისმარკო, შენ დიდი ქოფაკი ხარო!“—„მე, რასაკვირველია, შემეძლო იმავე წუთას ბრძანება მიმეცა და თოფით დამეხვრეტინებინაო, დაუმატებია ბისმარკს, მაგრამ სულ-გრძელი ვარო და იმიტომ არ მოვიქეცი ასეო.“

**

კოროლი ჰუმბერტი თეატრის ლოჟაში. ამ რამდენისამე ხნის წინად, იტალიის კოროლი ჰუმბერტი უცებ მისულა „აპოლლო“-ს თეატრში. კოროლს არა სცოდნია, რომ ინგლისის პრინცესსა ლუიზა ისევ რომში ცხოვრობსო, და ამიტომ პირ-და-პირ ლოჟაში შესვლა მოუწადინია. კოროლს სრულიად არ უყვარს ოფიციალური ჩაცმა და მორთულობა; თითონ სულითა და გულით მხედარია, ნადირობის მოყვარული და თავ-დაბალი,—ამიტომაც მორთვა-მოკაზმით არ იწუხებს თავს და ამ საღამოსაც თეატრში სერთუკითა და შავის ყელ-სახვევით მისულა. როდესაც მოახსენეს, რომ თეატრში ინგლისის პრინცესა ბძანდებაო, მაშინათვე კოროლს გაუგზავნია თეატრის დირექტორთან კაცი და უთხოვნია, რომ რამდენისამე წუთით ფრაკი და თეთრი ყელ-სახვევი მათხოვეო.—მართალია, ფრაკი პატარა მოსვლია, მაგრამ მაინც კიდევ ჩაუცვამს და ისე შესულა ლოჟაში. დაუნახავს თუ არა ხალხს თავის საყვარელი კოროლი, მთელი თეატრი ფეხზე წამომდგარა და მიჰსალმებია. რასაკვირველია, ამ დროს არავის ფიქრადაც არ მოსვლია, რომ კოროლს ნათხოვარი ფრაკი აცვიაო.

დეპეშა

24 იანვარი

პარიჟი. დეპუტატმა ლაკრუამ სთქვა პალატის ტალანში, რომ სასურველია, დავეკითხოთ მთავრობას, რა ყოფაშია დღეს საპოლიტიკო საქმეები. გობლემ სთქვა, ეგ მეტი-და იქმნება მას შემდეგ, რაც მე და ფრეისინემ უკვე გამოვაცხადეთ, რომ საფრანგეთს მშვიდობიანობა ჰსურსო. მინისტრმა დაუმატა: მე საბუთი მაქვს, რომ, რაც ამ ბოლოს დროს აღიაქოთი მოხდა, მხოლოდ ბირჟის ჩარჩთა და შუამავალთა საქმე იყოვო.

რომი. პალატამ ნდობა გამოუცხადა კაბინეტს, გადასცა ფული ლაშქრობისათვის აფრიკაში და უარ-ჰყო წინადადება ზოგიერთის დეპუტატებისა იმის თაობაზე, რომ მასსოვას თავი დავანებოთო.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში კრემერმა წინადადება მისცა მთავრობას, ეგვიპტეს თავი დაანებოთო. ამაზე ფერგიუსონმა უპასუხა, რომ დიდნი სახელმწიფონი არავითარს ძალას არ გვატანენ ამ საგნის გამოვო; ინგლისი მზად არის ყველას წინაშე იტვირთოს ვალდებულება, რომ ეგვიპტე და სუეზის არხი სანეიტრალოდ იქმნება დატოვებულიო, ხოლო ჯერ-ჯერობით, ვიდრე მტკიცე წესსა და რიგს არ დაამყარებს იქ, არ უნდა თავი დაანებოს ეგვიპტესაო.

ვენა. პაპის სტატს-სეკრეტარმა კარდინალმა იაკობინიმ დეპეშა მისწერა პაპის ელჩს მიუნხენში და სიტყვა გადაუკრა იმაზედ, რომ ვატიკანისათვის ფრიად სასიამოვნო იქმნება, თუ კათოლიკეთა დასი გერმანიაში მხარს მისცემს თ. ბისმარკს ჯარის გამრავლების გამოვო. ამ სურვილს წინ მიუძღვის სარწმუნოებრივი მოსაზრებანიო; ამით მშვიდობიანობის დაცვის საქმეც წინ წავიდოდა და გერმანიის მთავრობაც მოინდომებდა, რომ უფრო მკვიდრი ადგილი დაეჭირა კათოლიკეთა ეკკლესიას გერმანიაში. მთავრობა დასთანხმდებოდა აგრეთვე, რომ მაისის კანონებიც გადათვალიერებულიყოვო.

ვენა. ცხენების გასყიდვა და გაგზავნა ავსტრიო-ვენგრიიდამ აღკრძალულ იქმნა.

ბერლინი. გამოცხადდა ბრძანება იმპერატორისა იმის თაობაზე, რომ მოწოდებულ იქმნას 68,000 რეზერვის ქვეითი ჯარის-კაცნი და 4,800 რეზერვის ბატალიონებისანი მაგაზინის თოფებიდამ სროლის სასწავლებლადაო. სწავლა დაიწყება 26 იანვარს და გათავდება 6 თებერვალსაო.

ლონდონი. ყველა წინადადებანი იმის თაობაზე, რომ თავი დავანებოთ ეგვიპტეს ან ეხლავე, დაუყოვნებლივ, ან და ამა-და-ამ ვადისათვისაო, უარ-ყოფილ იქმნენ საზოგადოებათა პალატის-მიერ დიდის ხმის უმეტესობითა.

ათინა. ახალი ჯარის-კაცთა მოკრება გადადებულ იქმნა ივნისამდე.

ვენა. მინისტრ-პრეზიდენტის ავადმყოფობის გამო დეპუტატთა პალატაში იმის მაგიერმა მინისტრმა ციმიალკოვსკიმ სთქვა, რომ ავსტრო-ვენგრია ყველა დიდ სახელმწიფოსთან საკმაოდ კარგად არისო; არავითარი ისეთი ცვლილება არა მომხდარა-რა, რაც საშიში იყოს მშვიდობიანობისათვისაო; ყველა მთავრობას და განსაკუთრებით საიმპერატორო მთავრობას მშვიდობიანობა ჰსურსო; ხოლო თუ ზოგიერთს სამხედრო ზომიერებასა ვხმარობთ, ვხმარობთ მხოლოდ სიფრთხილის გულისათვისაო.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩვენ (1887) წელიწადია ქვეყნის შექმნიდამ 7395.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ. ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

იანვარი 31 დღით არის

27 დღე სამშაბათი. აღმოყვანება ნაწილთა წმ. მამისა იოანე ოქროპირისა.—სომეხ. მე-2 დღე არაჩავორაცის მარხვისა; კათოლ. იოანე ოქროპირისა და დაციის. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—6, ჩადის 5—24. მთვარე 15 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

16 იანვრიდამ 1 თებერვლამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3
» 2 »	2½ »
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 »
» » 2—	3½ »
» » 3 »	3 »
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	5 »
მე-2 ხარისხისა . .	4 »
მე-3 — . . .	3½ »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	8 »
» 2 »	7 »
სუკი. . . .	14 »
ცხვრის ხორცი . . .	8 »
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	7 »
» 2 »	6 »

განცხადებანი

კანცელარია და ბიბლიოთეკა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა“ ღია არის: საღამოთი ყოველ-დღე, კვირას გარდა, 4—6 საათამდე; ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს დილით 8—10-მდე; კვირაობით დილის 11—1 საათამდე საღამოსი. (10—9)

დაიბეჭდა და ისყიდება ყველგან

ინსტინქტი (ალლო) დარვინის თეორიის შეხედულობით, თარგმანი რომანოზ ფანცხავას-მიერ, ფასი 15 კაპ.

ღოთი კაცის სიკვდილი, მოთხ. ჩარლზ დიკენსისა, თარ. ივ. ხოტეველისა. ფასი 5 კაპ.

გამომცემანი ზ. ჭიჭინაძისა

დაიბეჭდა და იყიდება

ტფილისში კრ. ჩარკვიანის და ქუთაისში ძმათა ჭილაძეების მაღაზიაში:

საქებართა ქებანი

წერილი პირველი

დ. კარიჭაშვილის მიერ.

(3—2)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1887 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თთვით . . .	10 მ. — კ.	6 თთვით . . .	6 მ. — კ.
11 „ . . .	9 „ 50 »	5 „ . . .	5 „ 25 »
10 „ . . .	8 „ 75 »	4 „ . . .	4 „ 75 »
9 „ . . .	8 „ — »	3 „ . . .	3 „ 50 »
8 „ . . .	7 „ 25 »	2 „ . . .	2 „ 75 »
7 „ . . .	6 „ 50 »	1 „ . . .	1 „ 50 »

სამზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ.“

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი, სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდი ხელ-ნაწერები, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირ-და პირ მოლაპარაკებისთვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე კვირა-უქმების გარდა პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9

„КАВКАЗСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(ЕЖЕДНЕВНАЯ ГАЗЕТА).

Съ 1-го января 1887 г., въ г. Тифлисѣ, будетъ выходить ежедневно, не исключая и послѣ воскресныхъ дней, политическая, литературная и юридическая газета *„Кавказское Обозрѣніе“* (съ торгово-промышленнымъ отдѣломъ), по слѣдующей программѣ:

I. Статьи по вопросамъ: а) теоріи и практики права и судопроизводства, экономическимъ, финансовымъ, государственнымъ, международнымъ, общественнымъ, по обычному праву и статистикѣ; б) русской и иностранной общественной жизни, политики и литературы; и в) промышленнымъ: нефтяному, виноделію, шелководству, марганцовому дѣлу и др.—II. **Обозрѣніе правительственныхъ распоряженій.**—III. **Судебное обозрѣніе** (судебные отчеты и кассац. рѣшенія).—IV. **Общественное Обозрѣніе** (отчеты о засѣданіяхъ общественныхъ собраній и ученыхъ обществъ).—V. **Тифлисское и Кавказское обозрѣнія** (новости и корреспонденціи).—VI. **Русское обозрѣніе.**—VII **Иностранное обозрѣніе.**—VIII. **Обозрѣніе русской и иностранной періодической печати;** критика и библіографія.—IX. **Торгово-промышленное обозрѣніе** (торгово-промышленныя свѣдѣнія и курсы).—X. **Фельетонъ:** романы, повѣсти, разсказы о явленіяхъ общественной жизни стихотворенія.—XI. **Послѣднія новости и телеграммы.**—XII. **Смѣсь.**—XIII. **Театръ и музыка.**—XIV. **Справочный указатель** (резолюціи Тифлисскихъ судебныхъ установленій по дѣламъ апелляціоннымъ и кассаціоннымъ и пр.).—XV. **Объявленія.**

Газета будетъ помѣщать корреспонденціи изъ большей части городовъ и селеній Кавказскаго края, изъ С.-Петербурга, Москвы, Нижняго-Новгорода, Одессы, Варшавы и др. городовъ, а также Тегерана, Константинополя и Парижа.

Въ газетѣ примутъ участіе многіе столичные и кавказскіе корреспонденты и извѣстные писатели.

Пріемъ подписки, объявленій и розничная продажа въ Тифлисѣ 1) въ редакціи газеты—Сололаки, Нагорная улица, № 21; 2) *въ типографіи „Кавказскаго Обозрѣнія“*—Дворцовая улица, караванcарай (бывшій) Арцруни, и 3) *въ Центральной книжной торговлѣ.*

Подписная цѣна на газету (съ доставкою и пересылкою): на 12 мѣсяцевъ—12 руб., на 6 мѣс.—6 руб. 50 коп., на 3 мѣс.—3 руб. 50 коп., на 1 мѣс.—1 руб. 50 коп. **Служащіе пользуются разсрочкою и уплачиваютъ: при подпискѣ, 1-го января и 1-го августа по 4 р.**—*Отдѣльные №№ по 5 коп.*—Объявленія—строка петита 5 коп., *при неоднократныхъ объявленіяхъ дѣлается уступка.*

Газета будетъ печататься въ типографіи *„Кавказскаго Обозрѣнія“* (Н. И. Френкель). **Типографія исполняетъ всевозможныя типографскія работы.**

Редакторъ-издатель **А. С. ФРЕНКЕЛЬ.**

Дозв. ценз. Тиф. 26 января, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караван-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე